



ქვეყნის

1991

საზოგადოებრივი

12

ნომერი

№ 124 111517

ფასი 5 კაპ.

ბ. ჯუგაშვილისა და ჯუგაშიძის რედაქციის განცხადებით და სპირიტუალური მკვლევარი

საზოგადოებრივი და საკულტურო საქმიანობის განყოფილება

რედაქციის საკრებულოს სესია

მ წევრებს გაიმართა ჯუგაშვილის რედაქციის საკრებულოს პირველი სესიის მეორე სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ დეპუტატები, რესპუბლიკის პარლამენტის წევრები: ი. ბურჯაძე, გ. ფირცხალაიშვილი, ქ. ჯუგაშვილი და რედაქციის პრეზიდიუმის წევრები: მ. ჯუგაშვილი, მ. ჯუგაშვილი, მ. ჯუგაშვილი.

სესიამ განიხილა საკითხები: სარევიზიო კომისიის არჩევა; დროებითი კომისიების შექმნა და ფორმირება (საპროცესის მიხედვით); საკრებულოს დროებითი რეგლამენტის მიღება; დეპუტატთა შერჩევა დასრულებული საკითხების განხილვა.

რედაქციის საკრებულოს მიდევნა გ. ჯუგაშვილი და დეპუტატები რედაქციის საკრებულოს რედაქციის, მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, რომ რედაქციის საკრებულოს ეს ის რგოლია, რომელიც კორექტივების გაწევას სოფლის საკრებულოებს. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარევიზიო კომისიების ფუნქციონირებას. დასვა საკითხი სარევიზიო კომისიის არჩევის შესახებ.

სესიამ სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში აირჩია: ბესიკ კაკულია (კახეთის საკრებულო), ედემი ხუფენია (ღარსის საკრებულო), ზორის ლომია (ნარაზის საკრებულო), სოსო პერტაია (განუხუტის საკრებულო); ნუნუ სენიაშვილი (ჩხაშკის საკრებულო).

სესიამ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ ერთმანედ დაამტკიცა ჩხაშკის საკრებულოს მიდევნა ნ. სენიაშვილი.

დეპუტატთა წინადადებით შეიქმნა ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომერციული საქმიანობის შემსწავლელი, სოფლის მეურნეობის, ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, მრეწველობისა და კავშირგაბმულობის, განათლების, კულტურის, სპორტის უზრუნველყოფის, სპორტის, საფინანსო-საბიუჯეტო, იურიდიული კომისიები.

სესიამ შესაბამის კომისიება თავმჯდომარეებად დამტკიცა შემდეგი დეპუტატები: სოფლის მეურნეობის, ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე—გენადი სართანია

(ოდიშის საკრებულო); ტრანსპორტის, მრეწველობისა და კავშირგაბმულობის კომისიისა ჩემალ ხაბურაია (გრიგოლის საკრებულო); განათლების, კულტურის, სპორტის უზრუნველყოფის და სპორტის—თავმჯდომარე კ. უნტი ლაგვილაძე (კორცხელის საკრებულო); საფინანსო-საბიუჯეტო—თავმჯდომარე ოსარ ჩიკვატია (ორსანთის საკრებულო); ვაჭრობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომერციული საქმიანობის—თავმჯდომარე გივი შონია (ქაღალუის საკრებულო). იურიდიული კომისია—თავმჯდომარე ზაქარია ზაქარია (ინგირის საკრებულო).

განხილულ საკითხებზე აზრი გამოთქვა ნ. ლომიამ, ნ. სენიაშვილმა, გ. სართანამ, ქ. ლაგვილაძემ და სხვებმა.

ბ. ლომიამ ყურადღება გაამახვილა კანონში ჩადებული ცვლილებების და პრივატიზაციის დაჩქარების საკითხზე. მან ნარაზის მეურნეობის მაგალითზე წარმოაჩინა, თუ როგორ დიდი სიკეთე შეუძლია მოუტანოს ხალხს პრივატიზაციის დაჩქარებას.

დეპუტატმა ქ. ლაგვილაძემ სთხოვა უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებს: ი. ბურჯაძესა და გ. ფირცხალაიშვილს დაეხმონ საკითხი უზენაესი საბჭოს წინაშე სოფლის საკრებულოში, საკრებულოს გაშვების, მდინის, კომერციული თავმჯდომარის უფლება-მოვალეობის გარკვევის შესახებ.

სესიამ გადაწყვიტა რეგლამენტის სრულყოფის მიზნით საკითხი გადაიდოს მომდევნო სესიაში.

სესიამ შემდგომ განიხილა საკრებულოებიდან შემოსული საკითხები, რომელიც სესიას გააცნო რედაქციის საკრებულოს მდინის მოადგილემ ანზორ გვაჩაიამ. საკითხთა უმრავლესობა ეხებოდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში არსებულ ნაკლოვანებებს. სესიამ საქიროდ ჩათვალა კომისიის გამოყოფა, რომლის ხელმძღვანელობა დაედასა ანზორ გვაჩაიას. კომისიაში ძირითადი გაერთიანდნენ მოქმედ კომისიება თავმჯდომარეები.

სესიამ სიტყვით გამოვიდა პარლამენტის წევრი ი. ბურჯაძე. სესიის მუშაობა შეაჯამა საკრებულოს მიდევნა ბ. ჯუგაშვილი.

ბრძანება

ბავშვობიდანვე გაცნობიერებული შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობა, რათა შევებოთ დროს იმ საქმიანობას, მავანთა

ტურა, სამართლიანობა, კანონი კანონია და მის დამცველს ათმაგად მოეთხოვება პასუხი. „უძრავობის“ დროიდანაც

ჩემი მოხუცების გზით

წყალობით რომ შინა კაბინეტებში მოკალათებულან. რატომ არ ვიცი, მაგრამ რატომღაც სამართალდამცვე ორგანოებში მუშაობაზე უარს შეუხებოდნენ. შე კი ვიბრძოდი მიზნის მისაღწევად, რადგან ვხედავდი, რომ არჩეული პროფესიისადმი დაღიპი დაწამაულის ტოლფასი იქნებოდა.

გვასოცეს მრავალი მაგალითი საამისო, განსაკუთრებული.

ჩემი მიზანია დავამთავრო შილიციის უმაღლესი სკოლა, რათა ღირსეული ადგილი დაეცავო იმ ადამიანთა შორის, ვინც მოწოდებით აირჩია შილიციის თანამშრომლის რთული და საპატიო პროფესია. რამდენიმე დღეც და კრიმინალისტიკური იურიდიულ ფირმა „დეტექტივი“ ნათლობას მივიღებ. ეს ჩემი პირველი ნაბიჯია ჩემი ოცნების გზისკენ. ბევრი მინახავს თავისი პროფესიაზე ფანტიკურად შეყვარებული ადამიანი და შემძლია ვთქვა, რომ ამ ადამიანთა რიცხვს მეც ვეკუთვნი. მერა, რომ არჩეული პროფესიისადმი სიყვარული შეუძლებელს შემადლებინებს.

რა ცხოვრებიდანაც არ უნდა მოდიოდე, ნაღდი და მართალი უნდა იყო სინდისის წინაშე— ასე მწამს პიროვნებას, რომელიც ცხოვრებაში რთული გზით მატარა. შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლისთვის „ადვილი“ და „შემოსილიანი“ საქმე არ უნდა არსებობდეს, რადგან ყოველი საქმე რთული და საპასუხისმგებელია, როცა იგი ადამიანების ბელს შეეხება, ხოლო თუ მართალი არ იქნები საკუთარი სინდისის წინაშე შეიძლება პროფესიული ოსტატობაც დაგიწიონ და შენს კეთილსინდისიერებაშიც ეჭვი შეიტანონ. შე არ მინდა წარმოვიდგინო შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაი ადამიანური გულის გარეშე, უბრალოდ ხომ არაფრის გაკეთება არ შეიძლება? მით უფრო ადამიანების ბელს გადაწყვიტა? ამ სფეროს მუშაის ხომ პაერიოთ სჭირდება გულსხმიერება, შინაგანი კულ-

ფირმა „დეტექტივის“ დირექციას, მის ყოველ თანამშრომელს, ფირმის სპონსორებს და ყველას მინდა შევეცო, რომ ხალხის ნლობას არ დაეიარაგე, მტკიცედ შევინახავ სამსახურებრივ საიდუმლოს, ექნები ნაღდი, უღალატო, სამართლიანი პიროვნება, პრიციპული თანამშრომელი.

თინათინ ჯაფარიძე. გზისთვის, მონარარი გადარიცხოთ ფირმა „დეტექტივის“ № 60805 ფონდში.

სწორი გაგებით შეხვედით

ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენები გვარწმუნებს იმასში, რომ ყოყმანის და გაუბედავი ნაბიჯებით სიარულის დრო დამთავრდა, საჭიროა გადაშორული სარეფორმო პოლიტიკის გატარება სახალხო მეურნეობის ყველა მიმართულებით. გარკვეულ იმედებს. გვისახავს ამ ბოლო დროს საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც შეეხება მიწის რეფორმის დაჩქარებას, საწარმოების, ბიზნისის პრივატიზაციას. შემოღებულია რიგი ნორმატიული აქტები, რომლებიც მწვანე გზა ეხსნება თავისუფალ მეწარმეობას მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მომსალოვრდეს კერძო სექტორი, მეტი დინამიზმი მიენიჭოს

საბაზრო ეკონომიკის დანერგვის პროცესებს. ეს მეტად მტკივნეული ტენდენციაა, რომლისთვის ხალხის ფსიქოლოგიური მომზადება საჭირო. დრმად მწამს, რომ ამ სტადიის გავლის შემდეგ თანდათან მომავრდება ჩვენი ეკონომიკა, აიწვევს ცხოვრების დონე.

ეკონომიკაში მიმდინარე გარდაქმნების ფონზე ერთერთ ძნელად სამართავ სფეროდ მიმაჩნია სოციალური პოლიტიკა. მთელი ყურადღება გადატანილ უნდა იქნას მცირეშემოსავლიანი მშრომელების სოციალური დახმარების ქმედითი მექანიზმების ამუშავებაზე ამ მიმართულებით უნდა მოხერხდეს სხვადასხვა ასოციაციებისა და ფირმების საქველმოქმედო ძალისხმევის სწორად

კოორდინირება

და შიშვ, ეკონომიკის ლიბერალიზაციის ამ ეტაპზე უპირველეს ამოცანად შესახება ეგრეთწოდებული მცირე პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება. ამ მხრივ ჩვენს რეგიონში მრავალმხრივი მუშაობის ჩატარება მოგვიწევს, რამეთუ დაკარგული დრო მაქსიმალურად ავინაზღაუროთ.

ჩვენს წინ არის უმკაცრესი ზამთარი, რომელიც ალბათ ბევრ მოულოდნელობებს დაგვატებს თავზე. ჩემი სურვილია, ვიხილო მაქსიმალური ყაირთათანობის გრძნობით დამუბტული თანამემამულენი, რომლებიც ელემენტარულ ენერჯის, სხვადასხვა სახის საწვავის, გაზის მოხმარების საქმეში გამოიჩინენ მაღალ შეგნებულობას და კეშმარტ მამული ვილწას.

ბ. შონია.

სიბინდი—სახელმწიფოს!

ჯუგაშვილის პურპროდუქტების კომბინატმა 7 ნოემბრისათვის მიიღო 888 ტონა სიმინდის მარცვალი, პროგნოზით გათვალისწინებული 2.500 ტონიდან.

ლიის, დიდინების, ღარჩელის, ორსანთის მეურნეობები.

სიმინდის ჩაბარება წელი ტემპით მიმდინარეობს, ორულუს რძის საწარმოში, ცივის, ურთის, ქაქვიჩის, ქაღალუის, ჩხაშკარის, კოკის კომმუნურეობებში. სიმინდის აღების ხელსაყრელი ამინდები მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ მხვენელ-მთესველებმა. სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარების ტემპი მოითხოვს ამაღლებას.

სიმინდის ჩაბარების დავალება შეასრულა ახალსოფლის კომმუნურეობა „კოლხიდაში“, რომელმაც სახელმწიფოს მიჰიღა 82 ტონა სიმინდის მარცვალი.

სიმინდის მარცვლის ჩაბარების საქმეში წინ არიან: ახალაბახთუნის, ინგირის, ყულიშკარის, ნარაზის კომმუნურეობები, ანაკ-

გაზეთი „სვობოდანია გრუზია“ ათამაშებს პრინციპულ როლს თანამშრომლობაში. თუ გამოიწეროთ გაზეთი „სვობოდანია გრუზიას“ თქვენ ვახდებით პირველი რესპუბლიკური ლატარიის მონაწილენი.

გათამაშდება საბჭოთა ან უცხოური მარკის ავტომატანა, ვიდეო მაგნიტოფონები, უცხოური და სამამულო წარმოების ტელევიზორები და იუდიო-ტექნიკა. ტირაჟი გაიმართება 1991 წლის 31 დეკემბერს.

გამოიწერეთ გაზეთი „სვობოდანია გრუზია“, რომლის ღირებულებაა 30 მანეთი.



მინილავთ კანონდრომებს

საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის, საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი ასპექტების ძირითადი ცვლილებებმა აშკარა შეუსაბამობა მოიყვანა სოციალური უზრუნველყოფის დღეს არსებული სისტემა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკასთან. სოციალური უზრუნველყოფის შესახებ დღემდე არსებული კანონი ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფდა მათი კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციას. სწორედ ამან განაპირობა მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ ახალი კანონის შემუშავება. კანონპროექტი შემუშავებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის განმარტების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ და განხილულ იქნა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე 1921 წლის 16 ოქტომბერს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი „მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ ითვალისწინებს მოქალაქეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას სოციალური უზრუნველყოფისა და განმარტების დაცვის ერთიანი ფონდის ხარჯზე. ამით გარკვეულად სწორდება ის სოციალური უსამართლობა, ის არასწორი თანაფარდობა, რაც უკანასკნელ წლებში შეიქმნა საშუალო ხელფასისა და პენსიის შორის.

ჩვენი სტატია მიზნად ისახავს მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის ძირითად დებულებათა გაცნობას მკითხველთა ფართო წრისათვის: კანონპროექტის მიხედვით საპენსიო უზრუნველყოფის უფლება საქართველოში აქვთ: საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არაქონე პირებს.

პროექტში გათვალისწინებული საპენსიო უზრუნველყოფის ორი სახე: შრომითი და სოციალური პენსიები. შრომითი პენსიები მოიცავს ა) ასაკობრივ ბ) ინვალიდობის ბ) მარჩენალის დაკარგვის ბ) წელთა ნამსახურობის პენსიებს. დღემდე მოქმედი კანონის მსგავსად საპენსიო ასაკი კვლავ უცვლელი რჩება. იგი მამაკაცებისათვის 60 და ქალებისათვის 55 წელს შეადგენს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანდ გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებსაც პენსია უფრო ადრეულ ასაკში ენიშნებათ. შედგაოიანი პირობებით ასაკობრივი პენსიები, ვარდა მოქმედი კანონის დებულებით გათვალისწინებული პირობებისა, ენიშნებათ: ჩაის ხელით კრეფაზე და თამბაქოს მოყვანა-აღებაზე მომუშავე ქალებს—50 წლის ასაკში ამ სამუშაოებზე არანაკლებ 20 წლის სტაჟით, ბავშვობიდან ინვალიდობის დღემდე—50 წლის ასაკში—20 წლის მუშაობის სტაჟით. ამასთან ასეთ დებულებებს მუშაობის სტაჟში ეთვლებათ

16 წლამდე ინვალიდი ბავშვის და 1-ლი ჯგუფის ინვალიდის შრომის პერიოდი. მრავალშვილიან დედებს—50 წლის ასაკში არანაკლებ 15 წლის მუშაობის სტაჟით; მოქმედი კანონისაგან განსხვავებით, პრეტენზიის მიხედვით მრავალშვილიანად ითვლებიან დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 8 წლის ასაკამდე ოთხი შვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ შრომის

სტაჟში გარდა იმ მუშაობისა, რომელიც სრულდება ხელშეკრულების საფუძველზე, ჩათვლება აგრეთვე არამომუშავე დედის მიერ მცირეწლოვანი ბავშვის მოვლის დრო, მაგრამ არაუმეტეს თითოეული ბავშვის 8 წლის ასაკის მიღწევამდე. სულ 9 წლის ფარგლებში.

მნიშვნელოვანი სიახლეა, აგრეთვე, ისიც რომ შესაბამისი ასაკის დაკლებით ენიშნებათ პენსიები ა) მიწისქვეშა სამუშაოებზე განსაკუთრებით მავნე და განსაკუთრებით მძიმე შრომით პირობებში ბ) მავნე და მძიმე პირობებში სხული სამუშაო დროით დასაქმებულ მუშაკებს.

არსებითად შეიცვალა პენსიის გამოანგარიშების მექანიზმიც. მოქმედი კანონის შესაბამისად პენსიის გამოანგარიშების საფუძველს წარმოადგენდა საშუალო ხელფასი, და სტაჟის ხანგრძლივობას არსებობდა მნიშვნელოვანი პენსიის განსაზღვრის დროს არ ჰქონდა.

კანონპროექტის შესაბამისად პენსიის ოდენობა პირდაპირპროპორციულად დამოკიდებულია საშუალო ხელფასზე და სტაჟის ხანგრძლივობაზე. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს სტაჟის წყვეტილობას. ასაკობრივი პენსიები ენიშნება ხელფასის 55 პროცენტს. ასაკობრივი პენსიის მინიმალური ოდენობა აღინიშნება მინიმალური ხელფასის 100 პროცენტის ოდენობით, კანონპროექტის მიხედვით იმ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მუშაობის სრული სტაჟი, ენიშნებათ პენსია არასრული სტაჟით, რომლის ოდენობა არსებული სტაჟის პროპორციულია. კანონპროექტში მოცხსნილია ყველა ის შემთხვევა, რომელიც გათვალისწინებული იყო მოქმედი საპენსიო კანონში არასრული სტაჟით პენსიის დანიშვნის დროს და რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებდა არასრული სტაჟით პენსიის მიმღებთა წრეს.

კანონპროექტის მიხედვით ასაკობრივი პენსიის გამოანგარიშების თავისებურებათა უკეთ გაცნობის მიზნით მოვიყვანეთ ერთ მაგალითს: მრავალშვილიან დედას გააჩნია კოლმეურნეობაში მუშაობის 14 წლის სტაჟი, საშუალო

თვიური ხელფასი 650 მანეთი. არის 50 წლის. კანონპროექტის შესაბამისად არამომუშავე დედის შრომის სტაჟში ჩათვლება ბავშვების მოვლის პერიოდი 9 წლის ფარგლებში. ე. ი. სრული შრომის სტაჟი იქნება (14+9)=23 წელი. რადგანაც ამ მრავალშვილიან დედას 20 წელზე ზევით გააჩნია 8 წლის მუშაობის სტაჟი, პენსია გაუდღებდა ხელფასის 8 პროცენტს (850 მანეთის 58 პროცენტს) ე. ი. 877 მანეთი.

ენტი (850 მანეთის 58 პროცენტს) ე. ი. 877 მანეთი.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია გათვალისწინებული საშუალო ხელფასის გამოანგარიშების წესშიც. კანონპროექტის მიხედვით პენსიების გამოანგარიშებლად აღებდა საშუალო თვიური ფაქტობრივი გამომუშავება მუშაობის ნებისმიერი ზედიზედ 3 წლისათვის მუშაობის ბოლო 25 წლიდან მუშაობაში არსებული წყვეტების მოუხედავად. პენსიის გამოანგარიშებლად ხელფასში შედის ყველა სახის აშაღაურება, მათ შორის მიხედვითაა მიიღება გასამრჩელი ერთ-ერთი შეთავსებით სამუშაო აღვილიდან, მაგრამ არა უმეტეს ოთხჯერადი მინიმალური ხელფასისა.

კანონპროექტში გათვალისწინებულია ინვალიდობის პენსიის დანიშვნა მოქმედი კანონისგან განსხვავებით შედგაოიანი პირობებით, შედარებით გადრედილი ოდენობით. ინვალიდობის პენსიები ენიშნება ა) შრომითი დასახირობით ან პროფესიული დაავადებით ბ) საერთო დაავადებით. პირველ შემთხვევაში ინვალიდობის პენსიები ენიშნება მუშაობის სტაჟის მიუხედავად, მეორე შემთხვევაში კი მუშაობის სათანადო სტაჟის არსებობისას, მაგალითად: 20 წლის მიღწევამდე ინვალიდს პენსია ენიშნება 2 წლის სტაჟით, 21 წლისას 3 წლის სტაჟით, 51 წლის—11 წლის სტაჟით და ა. შ. ინვალიდობის პენსიები ენიშნება შემდეგი ოდენობით: პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს ხელფასის 55 პროცენტი, მე-3 ჯგუფის ინვალიდებს 38 პროცენტი, პენსიის მინიმალური ოდენობა პირველი და მე-2 ჯგუფის ინვალიდებისათვის მინიმალური ხელფასის 100 პროცენტია, მე-3 ჯგუფის ინვალიდებისათვის 50 პროცენტი. საერთო დაავადებით პირველ და მე-2 ჯგუფის ინვალიდებს, რომლებსაც არა აქვს სრული პენსიის დასანიშნად საკმარისი სტაჟი, ენიშნებათ პენსია არასრული სტაჟით.

კანონპროექტით გათვალისწინებულია მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიების დანიშვნის უფლება მარჩენალის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის, მარჩენალის მუშაობის სტაჟის გათვალისწინებით, ყოველ შრომისუნარო წევრზე—მარჩენალის ხელფასის 80 პროცენტის ოდენობით. ნამსახურობის პენსიები ენიშნებათ ცალკეული კატეგორიის მოქალაქეებს, რომლებაც დასაქმებული არიან ასეთ სამუშაოებზე, რომელთა შესრულებას მოსდევს დაწესებულ საპენსიო ასაკამდე პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა (კულტურის, სპორტის, განათლების, ჯანმრთელობის და სხვა მუშაკები) ამ კატეგორიის მოქალაქეებს ნამსახურობის პენსიები ენიშნებათ იმ სამუშაოს

კრებულების და პრეფერტურების შრომითი კოლექტივების უფლებები მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის საქმეში, მათ უფლება აქვთ თავიანთი ბიუჯეტების ხარჯზე დაწესონ დანამატები პენსიებზე. გავრცელებულ შედეგებში სამედიცინო, კომუნალური, კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურების საქმეში. ამასთან ჩვენი აზრით, სასურველია კანონპროექტში გათვალისწინებული იყოს შემდეგი გარემოებანი:

დატოვებისას, რომელიც პენსიის უფლებას იძლევა პენსია გამოინაგარიშება ასაკობრივი პენსიის მსგავსად. ყველა სახის შრომითი პენსიებზე დაწესებული სხვადასხვა სახის დანამატები. მომუშავე პენსიონერებს პენსია მუშაობის პერიოდში მიეცემათ სრულად. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა, რომელიც საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ სხვა რესპუბლიკების (რუსეთი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები) მიერ მიღებულ კანონებშიც არ არის გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტში ჩაღებულა პენსიის სისტემატური გადღების მექანიზმიც. კერძოდ, პენსიის გამოანგარიშებლად გასათვალისწინებელი გამომუშავეების ზღვრული ოდენობა, შრომითი პენსიების მინიმალური ოდენობა, პენსიაზე დანამატების ოდენობა განსაზღვრულია მინიმალური ხელფასის (ამჟამად 70 მანეთი) ფარგლებში და გააზრდება მთავრობის მიერ ახალი მინიმალური ოდენობის დაწესების შემთხვევაში.

საპენსიო უზრუნველყოფის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს სოციალური პენსიების კატეგორიის შემოღება. სოციალური პენსიები ენიშნებათ იმ ექვთვით იმ არამომუშავე მოქალაქეებს, რომელთაც არა აქვთ შრომითი პენსიის უფლება. ქალებს—80 წლის ასაკში, მამაკაცებს—65 წლის ასაკში, 16 წლამდე ინვალიდი ბავშვებს, ბავშვობიდან ინვალიდებს, ბავშვებს—მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში. პირველი ჯგუფის ინვალიდებს, პირველი და მე-2 ჯგუფის ბავშვობიდან ინვალიდებს და ინვალიდი ბავშვებს 16 წლამდე ასაკობრივი პენსიის მინიმუმის 100 პროცენტის ოდენობით. მე-2 ჯგუფის საერთო დაავადების ინვალიდებს და პირებს, რომლებსაც შეუძლებელია მამაკაცებს—65 წელი. ქალებს—70 წელი მინიმალური ასაკობრივი პენსიის 50 პროცენტის ოდენობით.

ამგვარად, მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებულია შრომისუნარო მოსახლეობის ყველა კატეგორიის განვითარებისა და კეთილდღეობისათვის საჭირო პირობების შექმნა. კანონპროექტის მიხედვით მნიშვნელოვნად გაფართოებულია ავტონომიური რესპუბლიკების, სა-

სსრ კავშირის მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის კანონით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის საწარმოებში დასაქმებულ მექანიზატორთა შედგაოიანი საპენსიო უზრუნველყოფა, კანონპროექტში კი აღნიშნული საკითხი დასმული არ არის, რაც ამ კატეგორიის მუშაკთა უკმაყოფილებას გამოიწვევს, ისინი მოქმედი საპენსიო კანონით შედგაოიანი პენსიის დანიშვნას ელოდებიან 1922 წლის იანვრიდან.

სოციალური პენსიების ნაწილში კარგი იქნება თუ კანონმდებლები გათვალისწინებენ მე-3 ჯგუფის ბავშვობიდან ინვალიდებზე სოციალური პენსიის დანიშვნის საკითხს. კანონპროექტის მიხედვით სოციალური პენსია ენიშნებათ პირველ, მე-2 და მე-3 ჯგუფის საერთო დაავადებით ინვალიდებს და პირველი და მეორე ჯგუფის ბავშვობიდან ინვალიდებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არასრული სტაჟით პენსიის დანიშვნისათვის ადრე არსებული ყველა შემთხვევაში მოისწავა, არასრული სტაჟით პენსია ენიშნება როგორც ასაკობრივი, ასევე ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის გამო. ინვალიდობისას არასრული სტაჟით პენსიის დანიშვნა მე-3 ჯგუფის ინვალიდებზე არ არის გათვალისწინებული, რაც არასწორად მიგაჩნია, სასურველია კანონპროექტში ამის გათვალისწინება.

„მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის პროექტით თითოეულ ჩვენთაგანს უნდა აინტერესებდეს, რადგანაც იგი შეეხება თითქმის ყველა ოჯახს. ამჟამად საქართველოში ყოველი მე-4 მოქალაქე რომელიმე არხის დახმარებას, დეპულტს სოცურუნველყოფის განყოფილებაში. მომავალში, როგორც აღინიშნა პენსიის მიმღებთა წრე საგრძობლად ფართოვდება. ამიტომ კანონპროექტი უნდა გარბეს ფართო განხილვის საგანი შრომითი კოლექტივებში, საკრებულოებში.

რაიონის სოცურუნველყოფის განყოფილება, გაზეთ „ოდიშის“ მეშვეობით სიამოვნებით მიიღებს მშრომელთა შენიშვნებს, წინადადებებს და საკითხებს დასვამს შემდგომი ორგანოების წინაშე.

მ. ჯაფარიძე, ზუგდიდის რაისოცურუნველყოფის განყოფილების გამგე.

კანონპროექტი უკან უარყოფდა

გელით საინტერესო შემთხვევა

ყველადათვის ცნობილი საერთო დამაბუღობისა და ეროვნული გასაპირის გამო საქართველოში დროებით ჩაკედა სულიერი ცხოვრება. მუყურბელმა ზურგი აქცია თეატრს, საკონცერტო დარბაზებს, მაგრამ ღმერთმა, ნუ ქნას, ასე გაგრძელდეს. სიღუბნისთვის ვაშს ხომ ქართველ კაცს მუღამ იმედ-

ის სხივივით ამხნევებდა ლეკი, სიმურა, სტენიდან წარმოთქმული მართალი სიტყვა... კონცერტი, რომელიც ესტრადის ცნობილ მომღერალთა მიწაწილეობით 16 ნოემბერს შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება, იმედის

შუქივით გამობრწყინდება მრავალი პრობლემა და საფიქრალნი დაბინდულ დღეებში. გათვალისწინებულია რა საყვარელ მელოდებს მოწყურბულ მსმენელთა მოთხოვნისა, კომპერტი ჩატარდება ორჯერ—სამ და ექვს საათზე. ამ საინტერესო

მუსიკალური დღის ინიციატორი და ორგანიზატორია საქართველოს რესპუბლიკის პენსიონერთა საქველმოქმედო მრავალდარგოვანი ასოციაცია „სიბრძნე“. მსმენელთა წინაშე აშკარად წარსდგებიან მომღერლები: გ.

კვლავი, მია ჯაბუა, თემურ ყვითელაშვილი (გიტარისტი), ოთარ ტატიშვილი (კომპოზიტორი), თემურ გვალა (მასხიობი), იუმორისტი გურამ გეგამკორი. თქვენ გელით მეტად საინტერესო, სასიამოვნო შეხვედრა ნობელ მუსიკის-შემსრულებ ბ. არამიძე.

ადრინდელ პერიოდში გრიგოლიშის ტერიტორიას ყულიშკარი ერქვა ანუ პასუხი ბატონების ა. ტუფუშისა და ა. თორდიას წერილზე

1991 წლის 11 მაისს გაზეთ „ლიბონი“ დაიბეჭდა ჯერ ჩემი, ხოლო 25 ივლისს „ლიბონი“ კი ბატონ ა. ტუფუშის და ბატონ ა. თორდიას წერილი, სადაც იხილებოდა სოფელ გრიგოლიშის სახელის შეცვლის საკითხი. ვარ გრიგოლიშის სოფელში სულ მესმოდა, თბილისშიც ბევრს უთქვამს, გრიგოლიშს წინათ ყულიშკარი ერქვაო.

მდინარე ყულისწყალი ჯერ გრიგოლიშის მთელ ტერიტორიას, შემდეგ კი ყოფილ ორჯონიკიძის ტერიტორიას აყოფს ორ ნაწილად და უერთდება ჭაშს.

კრების გადაწყვეტილებაში „გრიგოლიშის ალუდგინონ ძარძველი ისტორიული სახელი და ეწოდოს ზემო ყულიშკარი“ ბატონი აბესალომი უწოდებს „უბეზ შეცდომას“ და იქვე წერს: „იმ პირებს, რომლებიც დაუინებოთ ცდილობენ თავის სოფელს წაცვლად ძველთაძველი და თანაც უღამაზესი სახელი ადერტკარისა, მათ მიერვე გამოგონილი (ცლისწამება) სახელი ზემო ყულიშკარი დაწათლონ, შეუძლიათ ჩაიხედონ ამ შეტყუებულ ჩანაწერებში“.

ბატონ ა. ტუფუშს და ბატონ ა. თორდიას ვკითხები „ძველთაძველი“, რომ წერს განა დაადაგინეთ, რომელ წლებში (საუკუნეებში) ერქვა? კვლევა-ძიების ჭარბზე „ძველთაძველის“ დაწესება აშკარად არამეცნიერული და აბაბროფესიულია. თქვენს წერილში არ არის დატული ეთიკის ნორმები.

ვუპასუხოთ კითხვას, გრიგოლიშის ტერიტორიას ადრინდელ პერიოდში რა ერქვა?

ქართულ ენციკლოპედიაში (ტ. 8, 1984 წელი) წერია: „გრიგოლიშის სახელი ძე როგავა დაიბადა 1855 წელს ზუგდიდის მაზრაში, სოფელ ყულიშკარში“. (ენციკლოპედიაში შეცდომაა დაშვებული „ყ“-ს მაგივრად წერია „გ“) ცნობილია, რომ გრიგოლი (მეზობლები ვართ) დაიბადა ყულიშკარის ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელსაც მერე გრიგოლიშის პატავსაცემად მერგული სიტყვა გრიგოლიშ (ნიშნავს გრიგოლის) ეწოდა. გრიგოლის ნახსენებია სოფელ გრიგოლიშის ცენტრალურ (შუა) ნაწილში, იქ, სადაც აშუამად მურმან როგავას შიერ ზოპარკია (მადამობში) გაშენებული.

1987 წლის 20 მაისს ზუგდიდის გაზეთ „მებრძოლში“ გამოქვეყნდა კირილე მიქაიას (გაზეთი „კომუნისტი“ 1927 წლის 28 აგვისტო) წერილი გრიგოლიშის როგავაზე. შემდეგ გაზეთი წერს:

„გრიგოლიშის როგავას მშობლიურ სოფელ ყულიშკარს ეწოდა გრიგოლიში, მისსავე სახელს ატარებს ამ სოფლის კოლმეურნეობა. სოფელ გრიგოლიში დადგმულია გრიგოლიშის ბრინჯაოს ბიუსტი“.

1987 წლის 26 აგვისტოს გაზეთ „მებრძოლში“ ბიჭტორ ქობალიამ გამოქვეყნა წერილი სათაურით „ორჯონიკიძეთა საზრუნავი“ აი, რას ამბობს, პირველი კოლმეურნე ოთხმოცდასამი წლის ორჯონიკიძელი იოსებ ჯაბუა: „დაიწყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, რომელიც დამთავრდა 1931-32 წლებში“.

ამ პერიოდში ყოფილი ყულისკარის ტერიტორია გაიყო ორ სასოფლო საბჭოდ და შეიქმნა სერგო ორჯონიკიძისა და გრიგოლიშის როგავას სახელობის კოლმეურნეობები“.

1987 წლის 5 ნოემბრის გაზეთ „მებრძოლში“ დაიბეჭდა ბ. აბულაძის წერილი „გრიგოლიშის როგავაზე, სადაც ვკითხულობთ: „ყულიშკარს, შენი აკვის დაშორწვე სოფელს შენი სახელი ეწოდა — გრიგოლიში“.

1977 წლის 21 მარტის „მებრძოლში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში ვკითხულობთ: „ეკატერინე (კატო) გაბრიელის ასული როგავა დაიბადა 1887 წელს, ზუგდიდის მაზრის ყოფილ ყულიშკარში“. იმ ყოფილ ყულიშკარს ახლა გრიგოლიში ჰქვია.

1957 წლის 11 ოქტომბრის „მებრძოლში“ გამოქვეყნდა პენსიონერი მასწავლებლის, სიმონ როგავას წერილი „ჩვენის სოფლის წარსულიდან“, სადაც წერია:

„დიდი სოფელი იყო ყულისკარი, მარტო სიგრძე 14 კილომეტრს აღწევდა. სოფელი სამი უბნისაგან შედგებოდა — ყულისკარი, ალავერდიშკარი და უჩაშონა. თვით ყულიშკარი ქვემო და ზემო ნაწილად იყოფოდა. ქვემო ყულიშკარი სერგო ორჯონიკიძის სახელს ატარებს, ხოლო

ზემო ყულიშკარს გრიგოლიშის როგავას სახელის უკვდავსაყოფად გრიგოლიში შეარქვეს“.

1869 წელს მღვდელ ეგნატე როგავას მიუღწევს, როდა შელოის ასულმა ზემო ყულიშკარის წმინდა გიორგის ეკლესიის სასენაკოში გახსნა წერა-კითხვის შემსწავლელი წრე. 1878 წელს ჩამოყალიბდა ე. წ. სამრევლო სკოლა. ამ პერიოდში ახლო-მახლო სოფელში არსად იყო სკოლა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხობს, ცაიშსა და წალენჯიხას. აქ მასწავლებლობდა ბაგრატ უგულავა, რომლის ხელმძღვანელობითაც სამრევლო სკოლისათვის აგებულ იქნა ცალკე შენობა.

ზუგდიდის მაზრაში იმდენად მცირე იყო დაწესებითი სკოლები, რომ ზემო ყულიშკარის დაწესებითი სკოლით სარგებლობდა დღევანდელი ახალსოფელი (საქანთარი, სამირცხულავო). ბიჭვინჯი, (საქიქო, სახუნჯუო), ჯიხაშკარი (საგეთო, საზარანდო, სანთალი), ობუჯი (სამესო, საკაციო), კორცხელი და სხვა“.

გამოდის, რომ ზემო ყულიშკარის დაწესებითი სკოლით ყულისკარის ვარდა სარგებლობდა კიდევ 5 სოფელი.

ზუგდიდის არქივში ინახება საბუთი, სადაც წერია: „ვლადიმერ (ლადი) ფარნას ძე როგავა დაიბადა სოფელ ყულიშკარში 1888 წელს. მის ნახსენებ ახლა გრიგოლიში ჰქვია“.

ბატონი აბესალომ, ეკლესიის ჩანაწერებიდან თქვენს მიერ ამოწერილი სიის უღაღეს ნაწილს არ უცნობვრია გრიგოლიშის ტერიტორიაზე.

იქ დაბადების წლებს ჩანაწერები არ არსებობს. იმათი, ვინც თქვენს ამოწერეთ.

გამოდის, რომ 1885 წელს ყულიშკარი ეწოდებოდა იმ ტერიტორიასაც, რომელსაც მერე, 1932-33 წლებში, გრიგოლიში ეწოდა.

საინტერესოა, დაუჭერს თუ არა ბატონი ა. ტუფუშის ზემოხსენებული წერილების ავტორებს? ბატონი აბესალომ, ეხლა ხომ ცხადია, რომ ყულიშკარი ჩემი გამოგონილი სახელი (როგორც თქვენ წერთ) კი არ

არის, არამედ გრიგოლიშს წამდგომად ერქვა. თქვენ კი ცილი დაწამეთ.

სოფელი გრიგოლიშის ტერიტორია ადრინდელ პერიოდში, რომ ყულიშკარს ეკუთვნოდა ძალიან კარგად ჩანს 1808 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ „ამიერკავკასიის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემების კრებულში“, სადაც მოცემულია 1886 წლის მოსახლეობის აღწერის მასალები. მაშინ არსებობდა ასეთი დაყოფა: გუბერნია, მაზრა, უბანი, სოფლის საზოგადოება და სოფელი. ზუგდიდის მაზრა შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში. ამ კრებულში (888) ვკითხულობთ ყულიშკარის სოფლის საზოგადოება, სოფელი ყულიშკარი: 1912 მამაკაცი, 1216 ქალი, სულ 2530 სული. იქვე მითითებულია, რომ ყულიშკარში ცხოვრობდნენ თავადები: 15 მამაკაცი, 18 ქალი.

ზემოხსენებულ კრებულში გარკვევით წერია, რომ 1888 წელს ყულიშკარის სოფლის საზოგადოებაში შედის მარტო ერთი სოფელი ყულიშკარი, მოსახლეობა კი არის დიდი — 2530 სული, რაც უღაღად იმს ამტკიცებს, რომ 1885-88 წლებში ყულიშკარი გრიგოლიშის ტერიტორიასაც მოიცავდა.

ბატონი აბესალომ, თქვენი კარის მეზობლის წერილში (1991 წლის 2 მარტის გაზეთი „ლიბონი“) წერია: „ვლადიმერ ჩანთას ძე როგავა დაიბადა 1922 წელს სოფელ ყულიშკარში“. იმ ყულიშკარს ახლა გრიგოლიში ჰქვია, მისი ნახსენებია იქ, სადაც „ლიბონი“ უკვე უერთდება მდინარე ყულწყარს.

ფრანგი აკადემიკოსი ჟან მურიე 1888 წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ წიგნში „სამეგრელო, ძველი კოლხიდა“ იძლევა შეტად საინტერესო ცნობებს ყულიშკარზეც. მასში ვკითხულობთ: „მღვდელი ეგნატე (იგნატე) როგავა 50 წლის განსაჯელობაში აწინებდა ყულიშკარის ეკლესიას. მან ეკლესია ხელახლა ააშენა გათლილი ქვით ძალიან ძველ სამლოცველო ადგილას“.

აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი თავის წიგნში ამბობს:

ჩვენი თხოვნით ადგილობრივმა მღვდელმა ყულიშკარის ხატი ჩამოახსენა ზუგდიდში, სადაც მოხდა ხატის განიწვება და ფოტოგრაფიული სურათის გადაღება (1918-1914 წლები). ზეპირი გადმოცემით ადგილობრივმა მღვდელმა გვიამბო: „ეს ჭვარი სვა, წვთიდან მოუტანია ერთს გლესს, გვარად როგავას. როგავა გამოქაცვია დადგმულია და დასაოხრებულა ყულიშკარში. აქ მისი ჩამომავალს ეგნატე როგავას კოშკი და პატარა გუმბათიანი ეკლესია აუშენებია და ეს ხატი იქ დაუტყენებია“. ბატონი ექვთიმეს თქმით ხატის ერთი მხარე მოხატულია, ხოლო მეორე მხარეს სადა ვერცხლზე მხედრულით მე-19 საუკუნისა აწერია: „მღვდელმა გაბრიელ როგავამ გადატეიე ხატი სულის ყულისა“-ო. გაბრიელი შეიღია ზემოხსენებული მღვდლის ეგნატე როგავასი: მოსახლეობის დიდი ნაწილი გაბრიელს იცნობდა, როგორც ბოკოკია როგავას, წინათ ვინც ყრულია ეკლესიაში შეამჩნევდა წარწერას: „მოვახატინე, ეგნატე როგავამ და როდა შელოამ 1889 წელს“. იქვე კედელზე დახატული იყო ცილ-ქმრის როდა და ეგნატეს პორტრეტები.

დავსვათ კითხვა, სად ცხოვრობდნენ ეგნატე და გაბრიელი? ეგნატე და გაბრიელი ცხოვრობდნენ ყულიშკარში, იქვე ეკლესიასთან, რომელიც ამჟამად ეკუთვნის გრიგოლიშის ტერიტორიას. მათი სახლი ეხლაც დგას გრიგოლიში, მასში შელვა გობერნია ცხოვრობს. შეტად საინტერესოა ზემოთქმული წინადადება: დასახლებულა ყულიშკარში და იმის ჩამომავალს ეგნატე როგავას ეკლესია აუშენებია. აქედან ჩანს, რომ ის ტერიტორია (სოფელი გრიგოლიში) სადაც ეგნატე და გაბრიელი ცხოვრობდნენ, ეკუთვნოდა ყულიშკარს, ე. ი. წარსულში ერთი იყო ორჯონიკიძე და გრიგოლიში. მათ ჰქონდათ საერთო სოფელი ყულიშკარი, საერთო მდინარე ყულიშკალი და საერთო — ყულიშკარის ეკლესია.

მ. რიბაშვილი, ფიზიკა - მათემატიკის მეცნიერებთა კანდიდატი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. (დასასრული მორიგ ნომერში).

უზრალო პროფესიის კეთილად დამაშვრალი

„სოიუზბენეტი“ ამ ჟიურის სხვაზე შეტად ახვევია მკითხველები და ამის მიზეზი მარტო ის არ გახლავთ, რომ ქალაქის ცენტრში მდებარეობს. აქ მათ ხვდება თავაზიანი მანდილოსანი, თავის პროფესიაში უზომოდ შეყვარებული.

რა პროფესიის, ახაიის, თუ ერკვნების ადამიანები არ იყრიან აქ თავს. განსხვავებულია მათი ინტერესებიც სტერეო ტანს

ადამიანებაზე კეთილად დამაშვრალი

იათი. პატივცემულ თამარ ფუხაშვილს თითქმის მოძებნილი იქვს ყოველი მათგანის სულის გასაღები. იცის ვის რომელი უფროა, ან გაზეთი შეურჩიოს. და ეს უკანასკნელნიც მადლიერან რჩებიან 70 წელს შიბანებულნი, კეთილი და დიმილიანი ქალის მომსახურებით.

ჟ. თელია.

დღეს საშენი მასალის დეფიციტი იგრძნობა ყველგან.

განსაკუთრებით ხე-ტყისა და აგურისა, მიუხედავად ამისა მიწისძვრით დაზარალებულ რაჭის სოფლებში არ ცხრება მშენებლობის ტემპი. ამბროლაურის რაიონში დიდი მონდომებით შრომობენ ზუგდიდის საკოლმეურნეობათმშორისო სამშენებლო საბჭოს (თავმჯდომარე ბ. ჯინჯოლავა) მშენებლები, ოსტატები. მათ დაუბრკოლებლად მიეწოდებათ ადგილობრივი სააშქროების (უფროსები დავით ბებია, შიტუშა კაკაშვილი) მიერ გამოშვებული ბლოკები, რომლებიც შეუფერხებლად გადაქვთ ტრანსპორტულ-

სიკნელაების მიუხედავად

ეხს თენგიზ მაღანიას, რეზო ჯინჯოლავას, ბიჭიკო ძიძიგურს, კოკი ჭანაშიას, ტარიელ თოლორაიას. ამბროლაურის რაიონში საკოლმეურნეობათმშორისო სამშენებლო საბჭოს მიერ აღდგენილია და ჩაბარდა საექსპლოატაციოდ 25 საცხოვრებელი სახლი, რომლის შეფასება პირველი კატეგორიაა. სამუშაოთა მწარმოებლების ჯემალ შაოშვილის, ჯურაბ ჯღარკავას და ოსტატთა დიდ მონდომებას, მადლობით უპასუხა ამბროლაურის პრეფექტმა, რომელმაც რაქა-სამი უელის დამოყვრება ამოცანად დაისახა.

საკოლმეურნეობათმშორისო საკმშენებლო საბჭოს მშენებლებმა წელს ადგილზე ექსპლოატაციაში გაუშვეს ახალსოფლის, ქაღალაშის კაპიტალური ბიდეები, მეცოველების ფერმა ჭკალაშში, სახბორე ოქტომბერში. მიმდინარეობს რუხის რეაქციანი სკოლის ახალი ნაგებობის მშენებლობა, ოქტომბრის საშუალო სკოლის მიშენება-გაფართობის სამუშაოები, კახათის ფერმის მშენებლობა (სამუშაოთა მწარმოებლები: ბორის თარახელია, ბიჭიკო ბერიშვილი, იუარ თოდუა).

ა. ასათიანი.

უკვე ოცდაჩვიდმეტი წელია, რაც ორსადაცამეტი წლის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს ამავე სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი მოსახლეობის რამდენ წიგნს შეხება მისი ხელი იმ მდიდარი ფონდიდან, რომელიც 5000-მდე წიგნს ითვლის. გულწრფელი

მადლობა მითხველთა, მათ შორის სტუდენტთა და ხანდაზმულთა არის ბიბლიოთეკარის სიხარული. როგორც იტყვიან დროს თავისი გააქვს და ხანდაზმულები სწორად ვერ ვახერხებთ ბიბლიოთეკაში მისვლას, სასურველი წიგნების მიღებას, მაგრამ გული-სამხერი მუშაობს ინიციატივით

ეს გასაქირი ჩინებულად მოგვარდა. ბიბლიოთეკარი კარდა... და... ხანდაზმულებთან. ერთად ვარჩევთ სასურველ წიგნებს დემეტრე გვირგვინის ასეთი გულისმირი მუშაობს. ჩვენს მრავალ კი დღე მადლობა მას კეთილი მომსახურებისათვის. უ. წითაშვილი.

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული კონომისტი ლუსია გიგორიას ასული გიგორია. იგი დაიბადა 1914 წელს დარჩელში. დამთავრა იბოლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომისტი ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ნარაზენის ჩაის ფაბრიკაში, ხეცერის, ონარიის, დარჩელის მეურნეობებში ეკონომისტად.

თავის საქმის დასრულების შემდეგ გამოწვეული ყავდა ეკონომისტთა ახალი პლეადა. იყო უარესად თავმდაბალი და მისაზომი მოქალაქე. მისი სახით უფროსად დააკლდა საუკეთესო სპეციალისტი, ოქაზს — დედა და კოლეგებს უღალატო მეგობარი. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა. უსალმონი გიგორიანი.

ბასსენება

ტატო ლაჭავაძე

ეს შემოღობა წავიდა, მეოთხე მწუხარე შემოღობა. მეოთხედ გაიშალა შენს ოქაზში სსოფნის სუფრა. შენს საფლავთან შეიკრიბნენ შენი მეგობრები, ახლობლები. 26 ოქტომბერი ხომ ტკივილიან იმედოდ დაგვიტოვე შენს მოსაგონებლად. რა დასანანი, რომ აღარა ხარ ჩვენო საყვარელი ტატო! შენ სიკეთით, სიბოლოთი, საოცრად ალალი ბუნ-

ებით იყავი გამორჩეული, ამიტომ თუ გვიყვარდი ასე ძლიერად. არასოდეს დამავიწყდება ის აღრიანი დილა, როდესაც შენ სიკვდილის წინ რამდენიმე დღით ადრე, შენს ჭიშკართან ჩაცუქულმა დამიძახე, გულში ჩამისუტე, მომეფერე და მომიადრეს. მე ექვსიოდე წლის ვიყავი მაშინ, შენმა სიკვდილმა ჩემი პატარა

გულიც ააცრემლა, შენ ხომ უფროსი ძმა იყავი ჩემთვის და ჩემი დაიკოსთვის. არასოდეს არ დამავიწყდება ყოველთვის მთავალ შენს საფლავზე და ავინებ 22 სანთელს („შენ ისევ 22 წლისა ხარ“) რათა დემეტრე ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სახე და კეთილი სული. ტაჭა მირცხულვას.

რედაქტორი აკ. ზანტური.

გრიზა ჯოჯუა

გარდაიცვალა სოფლის უხუცესი კოლმეურნე, შრომისა და ომის ვეტერანი, საუკუნეს მითანებული გრიზა (გრიგოლი) ივანეს ძე ჯოჯუა. თვითნათნებდა მიიღო სოფელში. შემდეგ მწიგნობარად იღვწოდა. მისი დასაფლავებისათვის უფლებამოსილი და სათავეში უდგას რიყის ტერიტორიაზე ჩაის კულტურის განვითარების საქმეს წლების მანძილზე უძღვებოდა ერთ-ერთ ბრიგადას, რომელიც მოწინავეთა რიგებში იყო.

მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. სოფელი ეთხოვება უხუცეს ადამიანს. კაცს, უღალატოს და პირიანს. მის სრუტყასა და რჩევას დიდი პატივისცემით აღიქვამდა ახალგაზრდობა. მსუბუქი იყოს მისთვის მამულის მიწა. რიყის კოლმეურნეობის განვითარება, ვეტიკულარული სტაბილური, პროფესიონალი კოლმეურნი.

ინჰარეთ, გახდეთ გონადილი!

ინჰარეთი უზგადიდის კომარცხიული ბანკი „ინგურის“ მისი დამფუძნებლებია: კონსტანტინე „კოლხა“, უზგადიდის ექსპერიმენტალური ჩაის კომბინატი, ფინეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო „პამნიონი“, უზგადიდის სამშენებლო ახორციავია „პარტიორი“, მცირე საწარმოები „ნიონი“ და „ხვიჩა“. ბანკის საწესდებო ფონდი შეადგენს 5 მილიონ მანეთს. ორგანიზაციებს, საწარმოებს, კომპერტივებს, რომლებსაც სურვილი აქვთ გახდნენ უზგადიდის კომერციული ბანკის მებაიე, შეუძლიათ ის განახორციელონ

შეუწყობს დროულად სესხებას მიღებაში, პირადად დანაშაულების საიმედოდ დაბანდებაში და მათგან მალე პროცენტების მიღებაში. ბანკი უცხოური ვალუტის შესყიდვა-რეალიზაციასაც განახორციელებს. ამ მხრივ არსებული „შვი ბანკი“ საჭირო არ იქნება. კომერციული ბანკი „ინგურის“ მებაიეთა კრება 1991 წლის 1 დეკემბერს გაიმართება. კომერციული ბანკი „ინგურის“ სარეზერვაციო კომპლექსი. მისსამართნი: უზგადიდი, მერაბ კოსტავას ქ. №58, ტელ: 2-17-05.

წარმომადგენლობის შემთხვევა ბათუმის ამრტკორტში

უზგადიდის პირუტყვის გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი გაცნობებთ, რომ პირუტყვის სიმცირის გამო მიღება იწარმოებს ყოველი კვირის სამშაბათს და ოთხშაბათს. უზგადიდის პირუტყვის გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი.

წარმომადგენლობის შემთხვევა ბათუმის ამრტკორტში. მიმდინარე წლის 30 აგვისტოს მამასთან ერთად თვითმფრინავით მივმგზავრებოდი მოსკოვში. ჩემთან მოვიდა უცნობი მამაკაცი და მოხოვა დანიშნულ ადგილზე ტყავის ქურთუკში ჩაცმული ვინმე „ვაჟასთვის“ გადამეცა პარკი, რომელშიც იყო ზამთრის თბილი ტანსაცმელები. აღნიშნულ ადგი-

ლზე იგი არ გამოცანდა. უცნობმა პირმა აღნიშნა, რომ იგი უზგადიდელი იყო. ამიტომ ჩემთვის ვთხოვე დამეხმაროს ჩემთვის პარკის შიგნით. ბათუმში 26 მაისს ქუჩა №55-57, ოთახი №... ლაშა გიგორიაშვილი.

მეუღლე კატუშა * ყოლანდარია, შეიღებო: მზიანა, ლავრა, რამინი, დები კაკა, ფედოსია, ძმები თეოდანე, ჯურჯ, რძლები ასმათი ჯალალონია, ნინა თორდია, სიძე ოთარი ჭკადუა, შვილიშვილები: დიდი ნაყებია, გიგა ჭკადუა, ძმისშვილები ცუნცულო, მურმანი, ნანული, ბორისი, მარინა, თემური, დიდი ნაყებები, დისშვილები მზეგინარი, ზაირა, ფრევა-ლინა, ვალტერი ბერტუავები, ცოლისდა ხუტუშა, ქვისლი კაკო ქარია, მზახლები თამარა ჭკადუა, თინა, ემელიანე ჯალალონიები. დედაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ადვოთი თემურაზის ძე ნაყებია პანაშვილი 13, 14, 15 ნოემბერს, გამოსვენება 16 ნოემბერს 16 საათზე, ქ. უზგადიდი, ჩიჩუას ქ. 28, დაკრძალვა სოფ. ჩხორიში.

მიმდინარე წლის 16 ნოემბერს, 15 საათზე მაცხოვრისკარის სასაფლაოზე დანიშნულია თბილისში ტრაგიკულად დაღუპული ნუგზარ ვლადიმერის ძე შანავას სამოქალაქო პანაშვილი. მეუღლე სელიკო, შეიღებო ნათელა, რევაზი, ცილა, დემური, და ვალია, ძმა ოლიოშა, რძლები მანანა, ლარისა, ქსენია. ბაბუცა, სიძეები თემური ეფენია. მეტოფი თოდუა, გელა ჯიქია, შვილიშვილები მილიტა, ნათია, მარია, ალიკა, ლევანი, ლეო კოზოები, დიდი, გოგიტა ეფენიები, ნატო, ნინო თოდოები, ახლო ნათესავები იუწყებიან. საშა ნესტორის ძე კოზუას გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 ნოემბერს სოფ. კახაში.

მეუღლე დავუ, შეიღებო: ნარგიზა, ლინა, სიძე რეზო კარტონია, შვილიშვილები: თეა, ნატა, ცოლისდა ვარო კვარაცხელია, ძმისშვილები, დისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან. პლატონ მალხაზის ძე როგავას გარდაცვალებას. პანაშვილი 14, 15, 16 ნოემბერს, დაკრძალვა 17 ნოემბერს, გამოსვენება 4 საათზე, ქ. უზგადიდი, საბჭოს ქ. 23. ქ. უზგადიდის კინოვიდეოქსელის დირექციის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის რეზო (ფუნთუშა) იოსების ძე ლატარიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები: ამირანი, ნარგიზა, კოტე, იაშვე შენგელაიები, შვილიშვილები: ზვიადი, ნატო, ბუთუნუზი, გიორგი, ევა, ალექსანდრე, სალომე, შვილიშვილები: თამარა, თამარი, სალომე, დავითი, სიძეები: გიგა კახია, რინი გვირგვინი, რძლები ფენია ჩალიგავა, ქეთო შეროზია, ძმისშვილები: სეროჟა, თალიკო შენგელაიები, დისშვილები ვალდო ქანთალია, ვიერი მეზონია, დედაშვილი ნორა ბუბუა, ახლო ნათესავები იუწყებიან. მალაქია ძაკას ძე შენგელაიას გარდაცვალებას. პანაშვილი 12, 13 ნოემბერს 16 საათზე, დაკრძალვა 14 ნოემბერს 4 საათზე მაცხოვრისკარის სასაფლაოზე. გამოსვენება ქ. უზგადიდი, ლერმონტოვის ქ. 91.

შვილები: ნონა, ნოდარი, რევაზი, რძლები: ლუარა ჩახაია, ნათელა თეგეძე, მარინა გიგორიაშვილი, შვილიშვილები: ნანი, მარინა, რუსიკო, მალხაზი, ლათო, რეზო ეტვიები, სიძეები მამუკა ჯახაშია, დიდი ჩქ ნავა, შვილიშვილები: ლაშა ვივია, ლინა ჩქ ნავა, ბაჩანა, თამარი ჯანაშვილი, ძმისშვილი ზაური ეტვია, დისშვილები: კაკო, ვახტანგი, ძაბუკი, ნიგეზა, პალიკო, ეტნა კოკიები, კარლო მეზონია, ევა, შაქრო კვაშილავები, ცოლისდისშვილები ხუტა, ბიკიკო, ვენერა მარტინი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან. კალისტრატე გვარდიის ძე ეტვიას გარდაცვალებას. პანაშვილი 14, 15, 16 ნოემბერს, დაკრძალვა 17 ნოემბერს, გამოსვენება ქ. უზგადიდი, ნიკოლძის ქუჩა 47.

შვილები: კიშა, გენო, ნაზო თოდოები, რძლები: ლილი ფაჩუღია, ჯული ჯოლოსუა, კატო გრიგოლია, შვილიშვილები: ჯამბულო, თამარი, ბესიკი, ბადრი, დიდი თოდოები, სიძე ვალდია ლომია, ძმისშვილები ნორა, ვალერიანი, ვაგა, ზაური თოდოები, დისშვილები: ტერენტი, ბუბუტი, ხოლო, მიტეარი გულორდავები იუწყებიან. ნიკოლოზ (კოლია) მიხის ძე თოდუას გარდაცვალებას. პანაშვილი 14, 15 ნოემბერს, დაკრძალვა 16 ნოემბერს 16 საათზე სოფ. ნარაზენში.

მეუღლე ვალერი, შეიღებო: აენერი, ნონა, რომანი, შვილიშვილები: სერგო, ლევანი ქეიეები, ლუია, ივარი მილიტარები, ძმა ბიჭორი, და სერგა დენიგინები, სიძე ევგენი მილიტარინი, რძლები: ევა, ზოია, ნინა, ლამარა, გონაზი, მახლიბი: მამია, მიგონა, შულეტი: ენია, აენერა, მზახლობი ვიქტორი, მარია მილიტარინი, ნუნუ, კანდიკო რაფაიები, გავლიშვილები: ლევთერი, ინეერი, დენაზა, გორამი ქეიეები, მულოშვილები: მზია გილანტია, მილოზა, დემური შაიძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, თეირაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან. ლუდა ვახილის ასულ დენევიჩი-ვეთიას გარდაცვალებას. პანაშვილი 14, 15, 16 ნოემბერს, დაკრძალვა 17 ნოემბერს, გამოსვენება 4 საათზე, სოფ. ინგირი, ჭავჭავაძის 27.

მეუღლე თენია, შეიღებო ნუგზარი, თამარა, ცილა ჯიქიები, დები: ლაზა, ვალია, რძლები: ინეზა ხორთქი, ელისო თორქი. შვილიშვილები: ელა, ანა, ნინა ჯიქიები, ახა ზაზა ეტვიები, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან. გვადონი ხაშონის ძე ჯიქის გარდაცვალებას. პანაშვილი 17, 14, 15 ნოემბერს, დაკრძალვა 16 ნოემბერს, გამოსვენება ქობულეთის ქ. 12-დ.